ელეტრონული სასწავლო რესურსის თემა-წელიწადის დროები, ამინდი, ტანსაცმელები, ფერები

რესურსის ავტორი : ქუთაისის შ.პ.ს N 1 სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი - თათია მარდალეიშვილი

მოსწავლეთა ასაკი: 7–8 წელი

მოსწავლეთა რაოდენობა: 10

მიზანი: ეროვნული გეგმის მიხედვით

მიმართულება: ლაპარაკი

უცხ.დ.II.8. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ელემენტარული ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

სურათებით წარმოდგენილ ან მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებს აჯგუფებს კონკრეტული ნიშნის მიხედვით.

უცხ.დ.II.10. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

მოკლედ პასუხობს კითხვებს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე, ან რეაგირებს მათზე არავერბალური საშუალებებით

რესურსის შექმნის მიზანი

ამ კონკრეტული ელექტრონული რესურსის შექმნა-გამოყენება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა; მოსწავლისათვის , განსაკუთრებით სწავლების დაწყების საფეხურზე, რთული და მოსაწყენია ტრადიციული გზით ახალი მასალის ახსნა და განმტკიცება, ამიტომ მსურდა რომ მასალა, უფრო საინტერესო ეფექტიანი, ვიზუალური და ადვილად აღსაქმელი გზით მიმეტანა კლასში. მსურდა ელეტრონულ რესურსს სწავლების პროცესი შეევსო და ჯგუფს სასწავლო მასალის

აღქმასა და ფოკუსირებაში დახმარებოდა. ტექნოლოგიამ საშუალება მომცა სხვადასხვა მოდალობით მოსწავლეებისათვის საჭირო სტიმულების ჩადება მომეხერხებინა ელექტრონულ რესურსში. ტექნოლოგიის გამოყენებით საშუალება მომეცა ამ სასწავლო ელექტრონული რესურსით წარმატებით მიმეღწია კონკრეტული სასწავლო მიზნისათვის. მსურდა მასალის შესწავლა ყოფილიყო სახალისო და ინტერაქტიული, მოსწავლეებს ამაღლებოდათ მოტივაცია შესასწავლი საკითხის მიმართ და მაქსიმალურად ყოფილიყვნენ ჩართულები რესურსის გამოყენებისას.

რესურსი შექმნილია http://www.cambridgeenglishonline.com/Flashcard_maker/ და მოიცავს შემდეგ სტანდარტით გათვალისწინებულ თემებს:

- წელიწადის დროები
- ამინდები
- ტანისამოსი
- ფერები

ჩემს მიერ შექმნილი ელექტრონული სასწავლო რესურსი შსაძლოა გამოყენებულ იქნეს მრავალმხრივ – როგორც ფერების, ასევე წელიწადის დროების და თანისამოსის შესწავლისას. რესურსი წარმოადგენს „ფლეშქარდებისაგან“ შემდგარ დასურათებებს და ინგლისურ სიტყვებს, რესურსი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ საკლასო მუშაობის ნებისმიერი ფორმისას - ინდივიდუალური , წყვილური , ჯგუფური . რესურსი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა საგნების მიერ მოდიფიკაციის შდეგად (სხვა უცხოური ენები)

მიღწეული შედეგები:

ელექტრონულმა რესურსმა დადებითი გავლენა მოსწავლეების სწავლის პროცესზე: გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა , აღნიშნული საკითხების სწავლება არ იყო ერთფეროვანი და მოსაწყენი. მოსწავლეებს გაუადვილდათ მასალის გააზრება. ამ ელექტრონული რესურსის

სასწავლო პროცესში გამოყენებით მოსწავლეებმა შეიმეცნეს და შეისწავლეს ეს თემა ხალისით და თამაშის სახით, აუმაღლდათ მოტივაცია საკითხის მიმართ,ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად და სწორად მოეძებნათ აღნიშნული ფლეშქარდებისათვის შესაბამისი წყვილი.

ელექტრონული სასწავლო რესურსის გამოყენების ინსტრუქცია

ელეტრონული სასწავლო რესურსი, რომლის თემასაც წარმოადგენს -წელიწადის დროები, ამინდი, ტანსაცმელები, ფერები შექმნილია ფლეშქარდების შექმნის ერთ–ერთი ონლაინ ინსტრუმენტის გამოყენებით

http://www.cambridgeenglishonline.com/Flashcard_maker/

საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ საკლასო მუშაობის ნებისმიერი ფორმისას - ინდივიდუალური , წყვილური , ჯგუფური - ეს დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე და დაგეგმილ აქტივობაზე. ეს ელექტრონული რესურსი უნდა ამოვბეჭდოთ, დავჭრათ და დავურიგოთ მოსწავლეთა წყვილებს/ჯგუფებს, მივცეთ მათ განსაზღვრული დროის ლიმიტი და ვთხოვოთ მოუძებნონ მოცემულ ფლეშქარდებს შესაბამისი წყვილი, აქტივობის დასრულების შემდეგ შეგვიძლია სწორი პასუხები ვაჩვენოთ მონიტორზე და დავასახელოთ გამარჯვებულად ის წყვილი/ჯგუფი რომელსაც ყველაზე მეტი სწორი პასუხი აქვს და განსაზღვრულ დროში მოახერხეს აქტივობის დასრულება. ასევე ფლეშქარდების შესაბამისი წყვილის პოვნის შემდეგ მოსწავლეებს შესაძლოა შევადგენინოთ მარტივი წინადადებები, მაგალითად - It’s Summer, I am wearing a pink dress and a yellow T-shirt. It’s winter I am wearing a

black coat and blue trousers. ამ აქტივობისას მოსწავლეები მოახდენენ მიღებული ცოდნის რეალიზებას და შეძლებენ ნასწავლი სიტყვების გამოყენებით ააგონ წინადადებები შემდეგ თემატიკაზე; ამინდი, წელიწადის დროები, ფერები, ტანისამოსები.

ფლეშქარდები შემდეგნაირად გამოიყურება:


(Ctrl+Minus)
shoe
trousers
wear
skirt


49,7%
umbrella
sock
shirt
shorts


black
white
brown
colours


Red
Yellow
Green
Blue


Autumn
Winter
Summer
Spring


49,7%
sunny
rain
rainbow
wind


hat
coat
scarf
dress


Подогнать по ширине окна и разрешить прокрутку
Orange
pink
purple
grey